

საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი“

პროფესიული სტუდენტის დებულება

თავი I

ზოგადი ნაწილი

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1.1 პროფესიული სტუდენტის დებულება (შემდგომში დებულება) აწესრიგებს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის“ (შემდგომში კოლეჯი) პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას, ადგენს კოლეჯში ჩარიცხული პირების სამართლებრივ სტატუსს, მათ უფლება-მოვალეობებს, განსაზღვრავს კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორციელების პროცედურულ საკითხებს.

1.2 დებულების ნორმების შესრულება სავალდებულოა კოლეჯთან სამართალურთიერთობაში მყოფი ყველა პირისათვის, ამ დებულებით დადგენილი მოცულობის გათვალისწინებით.

1.3 ამ დებულების მიზნებისათვის, კოლეჯთან სამართალურთიერთობაში მყოფ პირად მიიჩნევა კოლეჯთან დადებული ნამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე კოლეჯთან დაკავშირებული ფიზიკური თუ იურდიული პირი, მათ შორის: ა) კოლეჯის ადმინისტრაციის პერსონალი;

ბ) კოლეჯის პროფესიულმასწავლებელთა და პრაქტიკის ინსტრუქტორთა პერსონალი;

გ) კოლეჯის პროფესიული სტუდენტები;

დ) კოლეჯის კონტრაქტორი ფიზიკური და იურდიული პირები.

1.4 წინამდებარე დებულების ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი შინაარსი არ ეწინააღმდეგება ზემდგომი სამართლებრივი აქტების ნორმებს.

1.5 ზემდგომ სამართლებრივ აქტებად, ამ დებულების მიზნებისათვის მიიჩნევა:

ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ დებულებაში ასახულ საკითხებს.

ბ) საქართველოს სახელმწიფო ორგანოების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები;

გ) კოლეჯის დამფუძნებლის ოფიციალური გადაწყვეტილებანი.

დ) კოლეჯის წესდებისა და დებულების ნორმები.

1.5 სტუდენტურ დებულებას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს კოლეჯის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე.

1.6 პროფესიული სტუდენტის დებულებაში საკითხის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტისგან განსხვავებულად მოწესრიგება არის კოლეჯთან სამართალურთიერთობაში მყოფი ნებისმიერი პირისათვის ამ აქტის შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნის საფუძველი.

1.7 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტის სტატუსთან და უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლის მარეგულირებელ ნორმებს პროფესიული სტუდენტის დებულება არ შეიცავს, მოწესრიგებული უნდა იქნეს ზემდგომ სამართლებრივ აქტებში მითითებული ნორმებით.

1.8 იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი სამართლებრივი აქტები არ შეიცავენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტის სტატუსთან და უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს, დასაშვებია ურთიერთობა გადაიჭრას კოლეჯის უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

თავი II პროფესიული სტუდენტი

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის ცნება

2.1 პროფესიულ სტუდენტად მიიჩნევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მქონე პირი, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესაბამისად, მოიპოვებს კოლეჯში განხორციელებადი პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსს, მის მიერ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულებამდე.

2.2 კოლეჯის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება დაკავშირებულია შემდეგი წინაპირობების შესრულებასთან:

- ა) კანონმდებლობით დადგენილ წინაპირობებთან (ასაკი, განათლება, კვალიფიკაცია) შესაბამისობის დადგენა;
- ბ) კოლეჯის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი აკადემიური მოთხოვნების (ჩარიცხვის წინაპირობების) შესრულება;
- გ) წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა.
- დ) კოლეჯის მიერ დადგენილ ადმინისტრაციულ, აკადემიურ და ფინანსურ პირობებზე თანხმობის გამოცხადება ორმხრივი კონტრაქტის გაფორმების გზით;
- ე) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად,
- ვ) კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიული სტუდენტთა კონტიგენტის რაოდენობას, რომელიც გამოითვლება მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით;

2.3 პროფესიული სტუდენტის სტატუსი დასტურდება კოლეჯის უფლებამოსილი პირის - დირექტორის სამართლებრივი აქტით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების თაობაზე და პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

2.4 პროფესიული სტუდენტის სტატუსის არსებობის მთელი დროის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტი სარგებლობს ამ დებულებით და სხვა კოლეჯის სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროფესიული სტუდენტის ყველა უფლებით.

2.5 კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა სამართლებრივი დოკუმენტაციითა და ამ დებულებით გათვალისწინებული საფუძველებით.

თავი III

პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია

მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის მეთოდოლოგია

3.1 კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამსოათვლელად კოლეჯს აქვს საკუთარი მეთოდოლოგია, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

3.2 კოლეჯში არსებობს ორი ტიპის სასწავლო გარემო - A და B:

3.2.1 A ტიპის სასწავლო გარემო - ეს არის სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად, აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი).

3.2.2 B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერთა და დემონსტრირების საშუალებით (პროექტორით).

3.3 კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A და B) გარემო;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა - 20 პროფესიულ სტუდენტზე კოლეჯს ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი. .

3.4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, კოლეჯის სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოიძიებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე - აპლიკანტთა მოთხოვნის რაოდენობის შესახებ;

ბ) კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატისტიკური მონაცემები დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით და მზარდი ტენდენციები;

გ) შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა, მათ შორის პარტნიორ პოტენციურ დამსაქმებელთა კონკრეტული მოთხოვნები.

3.5 ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

3.6 მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ ამ მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიის ფარგლებში გამოინგარიშებს კოლეჯის სასწავლო პროცესის

ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ასახავს შესაბამის განაცხადში.

თავი IV

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

4.1 პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად, კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

4.2 კოლეჯში პროფესიულ სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება და შესაბამისი დამდასტურებელი დოკუმენტის ფლობა ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კანონმდებლობითა და შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესით აღიარება.

4.3 კოლეჯში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის წესი ეყრდნობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით დაწესებულ მოთხოვნებს, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 4. პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წესი

5.1 კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით ცხადდება პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველების დოკუმენტების მიღების ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

5.2 პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების თაობაზე განცხადება საჯაროდ ქვეყნდება კოლეჯის ვებ-გვერდისა და სხვა წყაროების მეშვეობით.

5.3 კოლეჯის მიერ დაწესებული, პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისათვის აუცილებელი მოთხოვნები სავალდებულოა გაფორმებული იყოს კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტში.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მაძიებლის განაცხადის ფორმა

6.1 პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად დაინტერესებულმა პირმა ან/და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა (თუკი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მაძიებელი არასრულწლოვანია) კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარმოადგინოს:

ა) შევსებული კოლეჯის მიერ დადგენილი ფორმა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე;

ბ) კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (თუკი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მაძიებელი არასრულწლოვანია)

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებით მოთხოვნილია სხვა დონის განათლება - შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლი.

დ) მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში – წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები

7.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცესის სრულფასოვნად წარსამართავად კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება დროებითი კოლეგიალური ორგანო - სპეციალური კომისია.

7.2 სპეციალურ კომისიაში სავალდებულოა შედიოდეს შესაბამისი პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე

შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, სასწავლო საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის დეკანი, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

7.3 სპეციალური კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

7.4 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცესის მოიცავს:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი;

ბ) ინგლისურ ენაში ცოდნის ფლობის დონის განსაზღვრა;

გ) ქართულ ენაში ცოდნის დონის განსაზღვრა - იმ პირთათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური ენა.

7.5 ინგლისურ ენასა და ქართულ ენაში ცოდნის ფლობის დონის დასადგენი საგამოცდო მასალებს ტესტებს - ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით.

7.6 შესაბამისი პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად სპეციალური კომისია ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირის მიერ წარმოდგენილი საბუთების ანალიზს.

7.7 ის პირები, რომელთა დოკუმენტაცია აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობის, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების და შესაბამისი პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფორმალურ მოთხოვნებს, სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით - სხდომის ოქმის საფუძველზე დაიშვება შემდეგ ეტაპზე - ინგლისური ენის ცოდნის ფლობის დონის განსაზღვრად, ხოლო იმ პირთათვის, რომელთათვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური ენა, დამატებით დაიშვებიან ქართული ენის ცოდნის ფლობის დონის განსაზღვრელ გამოცდაზე.

7.8 ინგლისური ენის ცოდნის დონე რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, რომელზეც სურვილი აქვს პირს მოიპოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

7.9 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად ის პირები, რომელთათვისაც ქართული ენა არ არის მშობლიური, უნდა ფლობდნენ ქართულ ენას მინიმუმ B2 დონეზე.

7.10 თუკი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირი ვერ ფლობს შესაბამის ცოდნის დონეს ინგლისურ ან/და ქართულ ენაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებამდე, სპეციალური კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე, დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ჩაირიცხებიან შესაბამის სასწავლო კურსზე ინგლისურ ან/და ქართულ ენაში შესაბამისი ცოდნის დონის მისაღწევად.

7.11 სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ პირი განმეორებით წერს გამოცდას, ინგლისური ან/და ქართულ ენაში ცოდნის დონის დასადგენად.

7.12 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად წინამდებარე მუხლით განსაზღვრული თითოეული ეტაპის გავლის შესახებ სპეციალური კომისიის გადაწყვეტილება (სხდომის ოქმის ფორმით), გადაეცემა კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

7.13 კოლეჯის დირექტორი სპეციალურ კომისიის რეკომენდაციისა და საბუთების ანალიზის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტების კოლეჯის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა/არჩარიცხვის თაობაზე.

მუხლი 8. კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ

8.1 კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილება კოლეჯის მიერ განხორციელებულ შესაბამის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მაძიებლისათვის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება/არმინიჭების შესახებ ფორმდება დირექტორის ბრძანების სახით.

8.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება/არ მინიჭების თაობაზე გამოცემული კოლეჯის დირექტორის ბრძანება, გარდა საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ინსტრუქციით ბრძანების ტექსტისადმი წაყენებული ზოგადი მოთხოვნებისა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ამსახველი კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტებს;

გ) მითითებას პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, რომელზედაც ხორციელდება პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვა;

დ) იმ პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემებს (სახელი, გვარი პირადი ნომერი) რომლებთაც ენიჭებათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

მუხლი 9. ხელშეკრულების გაფორმება

9.1 კოლეჯის დირექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კოლეჯის სათანადოდ უფლებამოსილ პირთან გააფორმოს სასწავლო ხელშეკრულება.

9.2 პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ გააფორმებს ხელშეკრულებას კოლეჯთან სასწავლო წლის დაწყებამდე არასაპატიო მიზეზით, უჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

9.3 კოლეჯის მიერ დამატებით განსაზღვრულ ვადაში ხელშეკრულების განმეორებით არ გაფორმება არის პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

თავი V მობილობა

მუხლი 10. მობილობა

10.1 მობილობის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა იმ პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და სწავლობს ამა თუ იმ ავტორიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

10.2 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს, როგორც ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაში - გარე მობილობა, ასევე სწავლა განაგრძოს კოლეჯის მიერ განხორციელებულ სხვა პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - შიდა მობილობა.

10.3 მობილობა დასაშვებია მხოლოდ ერთი და იგივე საფეხურის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორის.

მუხლი 11. შიდა/გარე მობილობის პროცედურები

11.1 კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მობილობის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება:

ა) მობილობის სახე;

ბ) მობილობის ფარგლებში განსაზღვრული თავისუფალი ადგილების რაოდენობა;

გ) პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მობილობა;

დ) მობილობის ვადები;

ე) მობილობის პროცესში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

11.2 მობილობის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ.

11.3 მობილობის განხორციელების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც კოორდინირებას უწევს მობილობის განხორციელების პროცესს.

11.4 მობილობის პროცესის განსახორციელებლად შექმნილ სპეციალურ კომისიაში სავალდებულოა შედიოდეს აღმასრულებელი მენეჯერი, შესაბამისი პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, იმ სასწავლო საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის დეკანი, რომელიც ახორციელებს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტისათვის სასურველ პროფესიულ პროგრამას; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

11.5 მობილობის პროცესის განსახორციელებლად შექმნილ სპეციალურ კომისიაში შესაძლებელია წინამდებარე დებულების 11.4 პუნქტის გარდა შევიდეს სხვა წევრებიც, ყოველი ინდივიდუალური შემთხვევის შესაბამისად.

11.6 მობილობის განსახორციელებლად შექმნილი სპეციალური კომისია გადაწყვეტილებას მობილობის შედეგების შესახებ იღებს სხდომის ოქმის ფორმით.

მუხლი 12. გარე მობილობის პროცესში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

12.1 მობილობის მსურველმა პროფესიულმა სტუდენტმა, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად განსაზღვრული დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საიდანაც სურვილი აქვს განახორციელოს მობილობა, შესაბამისი დოკუმენტაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის ფლობისა და შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შედეგების შესახებ.

მუხლი 13. მობილობის პროცესი

13.1 მობილობის პროცესს ახორციელებს სპეციალური, დირექტორის ბრძანებით, წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დაცვით შექმნილი დროებითი კოლეგიალური ორგანო - სპეციალური კომისია.

13.2 სპეციალური კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით.

13.3 მობილობის პროცესი მოიცავს ორ ეტაპს:

ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი;

ბ) გასაუბრება.

13.4 კონკრეტული ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლებელია მობილობის პროცესის განხორციელების პროცესში დამატებით განისაზღვროს სხვა ეტაპი. დამატებითი ეტაპი ფორმდება კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით - ბრძანების გამოცემის გზით.

13.5 სპეციალური კომისია, მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით მობილობის პირველ ეტაპზე განიხილავს მობილობის პროცესში მონაწილე პირთა პირად საქმეებს.

13.6 პირველი ეტაპის წარმატებით გადალახვის შემდეგ, რომელიც ფორმდება სპეციალური კომისიის სხდომის ოქმის ფორმით - მობილობის პროცესში მონაწილე პროფესიულ სტუდენტს უტარდება გასაუბრება სპეციალური კომისიის წევრებთან. შესაძლებელია კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კონკრეტული საკითხების დაზუსტების მიზნით, სპეციალური კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, დირექტორის ბრძანებით გასაუბრების ჩატარებამდე განისაზღვროს სხვა დამატებითი ეტაპი/ეტაპები.

13.7 მობილობის მსურველს უტარდება გასაუბრება იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელზეც მას აქვს მოპოვებული პროფესიული სტუდენტის სტატუსი, გავლილი სასწავლო თუ პრაქტიკულ დისციპლინებში მიღწეული შედეგების კოლეჯის იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან დასადასტურებლად, რომელზეც მას სურს სწავლის გაგრძელება.

13.8 გასაუბრების დასრულების შემდეგ, ერთი კვირის ვადაში სპეციალური კომისია ვალდებულია კოლეჯის დირექტორს წარუდგინოს - სპეციალური კომისიის სხდომის ოქმი მობილობის შედეგების შესახებ.

13.9 სპეციალური კომისიის სხდომის ოქმში დეტალურად აისახება პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელზეც სურს სწავლა განაგრძოს პროფესიულმა სტუდენტმა, მის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული სასწავლო ან/და პრაქტიკული კომპონენტი, მისი შესაბამისობა კოლეჯის მიერ განხორციელებულ პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან, სასწავლო კომპონენტის ზუსტი მითითება, საიდანაც უნდა განაგრძოს პროფესიულმა სტუდენტმა სწავლა.

13.10 გასაუბრების შედეგების შესახებ სპეციალური კომისიის სხდომის ოქმი წარედგინება კოლეჯის დირექტორს მობილობის პროცესის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

13.11 მობილობის შედეგების შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას.

თავი VI

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული

მუხლი 14. კოლეჯის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულება

14.1 კოლეჯის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში, პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს ანიჭებს შესაბამის კვალიფიკაციას და გასცემს პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს - პროფესიულ დიპლომს.

14.2 პროფესიულ დიპლომთან ერთად კურსდამთავრებულს ეძლევა დიპლომის დანართი.

14.3 პროფესიული დიპლომის ფორმა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის შიდა სამართლებრივი აქტით - ბრძანებით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

თავი VII

პროფესიული სტუდენტებისა და კოლეჯს შორის არსებული

ფინანსური ურთიერთობები

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტების ფინანსური ვალდებულებები

15.1 პროფესიული სტუდენტების ფინანსური ვალდებულებები შედგება პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურისა და კოლეჯის სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა გადასახდელებისგან.

15.2 ფინანსური ვალდებულების არსებობის დასადასტურებლად კოლეჯი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს მიუთითოს მისი არსებობის სამართლებრივ საფუძველზე, რაც დასტურდება კოლეჯის სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ჩანაწერით.

მუხლი 16. პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური

16.1 კოლეჯის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა სასყიდლიანია, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

16.2 სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და აისახება პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯს შორის გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებაში.

16.3 პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში გადაიხადოს პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური.

16.4 სწავლის საფასური არ შეიძლება შეიცვალოს პროფესიული სტუდენტის საზიანოდ, საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისების გარდა.

მუხლი 17. პროფესიული სტუდენტების სხვა გადასახდელები

17.1 პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯს შორის გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასურის პარალელურად პროფესიულ სტუდენტს შეიძლება დაეკისროს შემდეგი გადასახდელები კოლეჯის სასარგებლოდ:

- ა) სასწავლო ან პრაქტიკული კომპონენტის განმეორებით გავლის საფასური;
- ბ) კოლეჯის მატერიალური ბაზის დაზიანებისას ზარალის ასანაზღაურებელი თანხა;

გ) ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნის დაზიანებისას ან დაკარგვისას -წიგნის საფასური.

მუხლი 18. პროფესიული სტუდენტების სხვა გადასახდელეების გამოანგარიშების წესი

18.1 სასწავლო დისციპლინის/მოდულის განმეორებით გავლის საფასური განისაზღვრება პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ღირებულების გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნული კომპონენტის მოცულობის შესაბამისად.

18.2 კოლეჯის აქტივების დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში, ზიანის ასანაზღაურებელი თანხა გამოითვლება მიყენებული ზიანის საშუალო საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19. ნაკლული და ზედმეტად გადახდილი თანხის კომპენსაციის წესი

19.1 იმ ვალდებულებებზე, რომელთა შესრულება არ განხორციელებულა დადგენილ ვადაში, კოლეჯი უფლებამოსილია ბრალეულად დამრღვევ პირს მოსთხოვოს ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის კომპენსაცია.

19.2 კომპენსაციის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ ოდენობას.

19.3 პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯის ზედმეტად გადახდილი თანხა ექვემდებარება პროფესიული სტუდენტისათვის დაბრუნებას დაუყოვნებლივ.

თავი VIII

პროფესიული სტუდენტების უფლებები და მოვალეობები

მუხლი 20. პროფესიული სტუდენტის უფლებები

20.1 კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს კოლეჯში მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი, თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული კოლეჯის სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში

20.2 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მისი სურვილისა და შეხედულებისამებრ ნებაყოფლობით გაერთიანდეს სტუდენტურ თვითმმართველობაში.

20.3 პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით, სასწავლო ხელშეკრულებითა და პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 21. პროფესიული სტუდენტის მოვალეობები

21.1 პროფესიული სტუდენტი მოვალეა დაიცვას კანონმდებლობის, კოლეჯის დებულების, შინაგანაწესის და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები.

21.2 შეასრულოს კოლეჯთან დადებული სასწავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

21.3 სასწავლო ცხრილებით გათვალისწინებული დროის დაცვით დროულად გამოცხადდეს კოლეჯში. არ გააცდინოს სასწავლო პროცესი.

21.4 შესაბამისი პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა, მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის აკადემიურ დავალიანებად.

მუხლი 22. პროფესიული სტუდენტის პასუხისმგებლობა.

22.1 კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი გადაცდომის ჩადენისას პროფესიული სტუდენტის მიმართ შესაძლებელია დაიწყოს დისციპლინური წარმოება.

22.2 პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული ან განხორციელებადი დისციპლინური წარმოება არ შეიძლება ცნობილი გახდეს მესამე პირებისთვის პროფესიული სტუდენტის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

22.3 პროფესიული სტუდენტის უფლებებში შეზღუდვა დაუშვებელია, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ დებულებით დადგენილი კოლეჯის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისაკენ.

22.4 დისციპლინური საქმის წარმოებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია შექმნას კომისია, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება:

ა) პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინარული დევნის შეწყვეტის შესახებ;

ბ) პროფესიული სტუდენტისათვის გაფრთხილების მიცემის შესახებ;

გ) პროფესიული სტუდენტისათვის საკომპენსაციო ჯარიმის დაკისრების შესახებ; (აღნიშნული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის გადაცდომის შედეგად კოლეჯს მიადგა ქონებრივი ზიანი)

დ) პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესიდან განსაზღვრული ვადით ჩამოშორების შესახებ;

ე) გადაცდომის ჩამდენისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ - განსაკუთრებით მძიმე გადაცდომის ჩადენისას ან გადაცდომის არაერთხელ ჩადენისას.

22.5 წინამდებარე დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული შინაარსის გადაწყვეტილების მიღებისას, სტუდენტის სტატუსის შეჩერების ვადა არ შეიძლება იყოს 3 თვეზე მეტი.

22.6 განსაკუთრებით მძიმე გადაცდომად მიიჩნევა დამრღვევი პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯთან სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით დაკავშირებული პირის მიმართ პიროვნული ღირსების საჯაროდ შეურაცხყოფა, რომელიც აგრესიული ხასიათით გამოირჩეოდა.

22.7 პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

თავი IX

კოლეჯის ვალდებულებები პროფესიული სტუდენტების მიმართ

მუხლი 23. პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან/და გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების მომავალი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

23.1 კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტს შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით.

23.2 პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას არსებული პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებაზე.

23.3 შეცვლილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

23.4 ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას პროფესიული სტუდენტი განთავისუფლებულია სწავლის დამატებითი გადასახადისაგან.

23.5 იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიღევად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე.

23.6 კოლეჯში პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

განხორციელების შეწყვეტის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს მსგავსი სახის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმების საფუძველზე, პროფესიული სტუდენტების აღნიშნულ დაწესებულებაში გადაყვანას.

23.7 პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შეცვლის ან/და გაუქმების თაობაზე კოლეჯს არ აქვს გაფორმებული სხვა ანალოგიური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმი, არ შეიძლება გაუქმდეს. კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გადაიყვანოს მიღწევად რეჟიმში, პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დასრულებამდე.

თავი X

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ცნება

24.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს პირის სასწავლო პროცესში მონაწილეობისაგან და პროფესიული სტუდენტის სხვა უფლებება-მოვალეობებისაგან დროებით განთავისუფლებას.

მუხლი 25. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევები

25.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) უცხო ქვეყანაში სწავლა;
- გ) დირექტორის ბრძანებითა და სასწავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
- დ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
- ე) პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯთან კავშირის გაწყვეტა, შესაბამისი მიზეზების დადგენამდე;
- ვ) ავადმყოფობა;
- ზ) კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი გადაცდომის ჩადენა
- თ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 26. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების გაფორმება

26.1 პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

26.2 ბრძანების ასლი უნდა გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს (სტატუს შეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს ან მის წარმომადგენელს).

26.3 იმ შემთხვევებში, როდესაც ვერ დგინდება პროფესიული სტუდენტის ადგილსამყოფელი, ბრძანება სტატუსის შეჩერების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, მათ შორის, კოლეჯის ვებ-გვერდის მეშვეობით.

მუხლი 27. პროფესიული სტუდენტისათვის შეჩერებული სტატუსის აღდგენა

27.1 პროფესიული სტუდენტისათვის შეჩერებული სტატუსის აღდგენა შესაძლებელია თუკი აღმოფხვრილი იქნება ის გარემოებები, რაც გახდა პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

27.2 პირისათვის სტატუსის აღდგენა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

27.3 დაინტერესებულ პირს, ან მის წარმომადგენელს, სავალდებულოა ეცნობოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ.

მუხლი 28. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შედეგები

28.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სასწავლო პროცესში დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა აღმოფხვრილი ის გარემოებები, რომლებიც გახდა პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

თავი XI

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

მუხლი 29. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ცნება

29.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა გულისხმობს პირის სასწავლო პროცესში მონაწილეობისაგან და პროფესიული სტუდენტის სხვა უფლებება-მოვალეობებისაგან განთავისუფლებას.

მუხლი 30. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევები

30.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამისი საფეხურის პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შეუძლებლობა მოუსწრებლობის გამო, თუ პროფესიული სტუდენტი ზედიზედ სამჯერ ვერ ახერხებს სასწავლო დისციპლინით/მოდულით/ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვებას.

დ) კოლეჯის წესდების, კოლეჯის შინაგანაწესის, დებულების და სხვა შიდა სამართლებრივ აქტების უხეში ან/და სისტემატური დარღვევა, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს კოლეჯს. მის პროფესიულ სტუდენტებს, კოლეჯის თანამშრომლებს;

ე) კანონიერ ძალაში შესული განაჩენი პროფესიული სტუდენტის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას; ვ) გარდაცვალება.

მუხლი 31. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გაფორმება

31.1 პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება კოლეჯის დირექტორის დასაბუთებული ბრძანების საფუძველზე;

31.2 ბრძანების ასლი უნდა გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს (სტატუს შეწყვეტილ პროფესიულ სტუდენტს ან მის წარმომადგენელს).

31.3 იმ შემთხვევებში, როდესაც ვერ დგინდება პროფესიული სტუდენტის ადგილსამყოფელი, ბრძანება სტატუსის შეწყვეტის თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, მათ შორის, კოლეჯის ვებ-გვერდის მეშვეობით.

მუხლი 32. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შედეგები

32.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას;

32.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 33. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილების გასაჩივრება

33.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XII

პროფესიულ სტუდენტთა რეესტრის წარმოების წესი

მუხლი 34. პროფესიული სტუდენტის რეესტრის წარმოების წესი

34.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებიდან ერთი კვირის ვადაში კოლეჯი ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისი ინფორმაცია შეიტანოს განათლების მართვის ელექტრონული სისტემის ელ.პროგრამაში (რეესტრში).

34.2 კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შესახებ ყოველგვარი ცვლილების შესახებ დირექტორის შიდა სამართლებრივი აქტის მიღებიდან შესაბამისი ინფორმაცია რეესტრში უნდა აისახოს სამი სამუშაო დღის ვადაში.

34.3 რეესტრში აისახება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ა) პროფესიული სტუდენტის პირადი ნომერი (საიდენტიფიკაციო კოდი) სახელი, გვარი, სქესი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, რეგისტრაციის ადგილი;
- ბ) განათლების საფეხურის დამადასტურებელი დოკუმენტის გამცემი დაწესებულების დასახელება—ორგანიზაციულ—სამართლებრივი ფორმა, დოკუმენტის სერია, ნომერი და თარიღი;
- გ) კოლეჯში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დირექტორის ბრძანების რეკვიზიტები;
- დ) პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულების რეკვიზიტები;
- ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, სწავლების საფეხური;
- ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენა;
- ვ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა/აღდგენა აქტის, აგრეთვე გადაყვანის წესით ჩარიცხვის შესახებ დირექტორის ბრძანების რეკვიზიტები;
- ზ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლის ან/და პრაქტიკის ინსტრუქტორის სახელი, გვარი, სქესი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მოქალაქეობა, მისამართი (რეგისტრაციის ადგილი); აკადემიური ხარისხი/პროფესია/სპეციალობა, მიღებული დიპლომის (ბოლო დოკუმენტი) სერია, ნომერი, თარიღი, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ასწავლის, სტაჟირება, პროფესიული განვითარების კურსები, ტრენინგები და კონფერენციების არსებობის შემთხვევაში; კოლეჯის მიერ დადგენილი წესით მასწავლებლის მიღების ფორმა და მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

თავი XIII

დასკვნითი დებულებები

მუხლი 35. დებულების მიღების წესი

35.1 წინამდებარე დებულებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ბრძანების გამოცემით. დებულება ძალაში შედის დებულების დამტკიცების შესახებ გამოცემულ ბრძანებაზე ხელმოწერისთანავე. დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება იმავე წესით, რაც დადგენილია წესდებით დებულების მისაღებად.